



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგაძე ინგა ირაკლის ასული

გიორგაძე ინგა ირაკლის ასული (დ. 30. XI. 1938, თბილისი), ვირუსოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1996). 1962 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. 1967-72 იყო თბილ. ვაქცინებისა და შრატების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინ-ტი) ვირუსოლოგიის ლაბორატორიის უფრ. მეცნ. მუშაკი; 1972-2007 - ამავე ინ-ტის ვირუსოლოგიის ლაბორ. ხელმძღვანელი; 2007-იდან შპს ანალიტიკურ-სადიაგნოსტიკო ცენტრის - „დიაგნოზი-90“-ის ხელმძღვანელი. გ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი. მისი შრომები ეხება ვირუსოლოგიის, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის აქტუალურ პრობლემებს, განსაკუთრებით ინტერფერონის სისტემის შესწავლის სხვადასხვა ასპექტებს.
